საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-147

15/02/2019

ქ. თბილისი

ქალაქ ბათუმში შპს „ნოვას“ პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ნოვას“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქალაქ ბათუმში პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

შპს ,,ნოვას'' დაქვემდებარებაში არსებული საწარმოო ობიექტი მდებარეობს ქალაქ ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, აეროპორტის გზატკეცილი N261-ში, შპს ,,ნოვას'' მფლობელობაში არსებულ შენობაში (ს/კ 05.32.06.125). საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 1 კმ-ით. საწარმოდან არსებული საავტომობილო გზა დაშორებულია 200 მეტრით. ხოლო ზედაპირული წყლის ობიექტი მდ. ჭოროხი დაშორებულია 368 მეტრით.

შპს ,,ნოვას'' პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სამინისტროს მიერ გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (N2-121, 01/03/2018).

შპს ,,ნოვა'' აწარმოებს სასმელი წყლის შესანახ პოლიეთილენის ავზებს. საწარმოში დაგეგმილია, დამატებით ,,Polivinil''-ის მარკის იტალიური დანადგარის მონტაჟი. პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული იქნება ისევ (,,Polimeros Mexicanos'') ,,Rotelene'' ნედლეული. საწარმოში პოლიეთილენის ავზების წარმოება მიმდინარეობს როტაციული მეთოდით. ამ ეტაპზე საწარმო აწარმოებს 100 -დან 5000 ლიტრამდე ტევადობის ავზებს, ხოლო ახალი საწარმოო ხაზის საშუალებით იზრდება წარმოებული ავზების ტევადობა 100-დან-10000-ლიტრამდე. ასევე დაგეგმილია სხვადასხვა ფორმის პოლიეთილენის წყლის ავზების წარმოება.

საწარმოში დაგეგმილია წლის განმავლობაში 700 ტონა ნედლეულის გადამუშავება, დღიური რაოდენობა 2,4 ტ/დღ. წარმოებული პროდუქციის რაოდენობა (პოლიეთილენის წყლის ავზი) დაახლოებით 27522 ცალს შეადგენს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან ავზების ახალი საწარმოო ხაზის (დანადგარის) მონტაჟი ხდება იგივე საწარმოში, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დაერთება მოხდება უკვე არსებულ გაფრქვევის მილზე.

ახალი საწარმოო ხაზი ბუნებრივი აირის (დაახოებით 100 000 $მ^3$/წელ) გარდა სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენებას არ საჭიროებს. სასმელ-საყოფაცხოვრებო და

სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება მოხდება ტერიტორიაზე არსებულ საკანალიზაციო ქსელში.

საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების სეპარირება და შემდგომი მართვა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ.

პოლიეთილენის ავზების წარმოებისას, საწარმოში წარმოქმნილი პოლივინი ისევ ბრუნდება წარმოებაში, შესაბამისად ხდება საწარმოო ნედლეულის განმეორებით გამოყენება.

საწარმოს მთელი ტერიტორია და მისი მიმდებარე ტერიტორია ბიომრავალფეროვნების მხრივ, ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, საწარმოს უმეტესი ტერიტორია ასფალტირებულია. რადგან ახალი საწარმოო ხაზის დამატება ხდება იგივე საწარმოში დახურულ შენობაში, ზემოქმედება ექსპლუატაციის ეტაპზე ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე არ არის მოსალოდნელი.

წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშით, საწარმოს ტერიტორია დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია დაახლოებით 1კმ მანძილით, შესაბამისად მოსახლეობაზე, ატმოსფერულ ჰარში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევით გამოწვეული ზემოქმედება იქნება მინიმალური, ხოლო ხმაურის გავრცელება - უმნიშვნელო.

ვიზუალური შეფასებით ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ საწარმოში პოლიეთილენის ავზების წარმოება ხორციელდება იგივე ტექნოლოგიით-როტაციული მეთოდით, გამოყენებულია იგივე ტიპის ნედლეული (,,Polimeros Mexicanos'' ,,Rotelene''), ასევე ,,Polivinil''-ის მარკის იტალიური დანადგარი, რომლითაც ამჟამად ხდება პროდუქციის წარმოება. აღნიშნული დანადგარის მონტაჟი დაგეგმილია შპს ,,ნოვას'' დაქვემდებარებაში არსებულ საწარმოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შპს ,,ნოვას'' პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი არ არის დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „ნოვას“ პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი **არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას**;
2. შპს ,,ნოვა'' ვალდებულია პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება განახორციელოს, პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (N2-121. 01/03/2018) დადგენილი პირობების შესაბამისად, სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;

3. შპს „ნოვა“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებული ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის'' სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა;
4. შპს „ნოვა“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს ნარჩენების მართვის განახლებული გეგმის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა არსებული ცვლილებების გათვალისწინებით;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნოვას'';
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნოვას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლოება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი